ახალი ხარაგაული

№313 (05), 29 თებერვალი, 2016 წ.

„ერთიანობის ხელი შევაშველოთ ! ...”

ბედნიერებაა, როცა ხვდები რესპონდენტს, რომელსაც ძალუძს, მოგაქციოს პოზიტიურ შთაბეჭდილებათა ტყვეობაში, გაგიფანტოს უიმედობის ბურუსი და, რაღაც გამოუცნობი ძალით, საოცარი ემოციით აგავსოს, იმედიან ტალღაზე გადაგრთოს და სხვა თვალით დაგანახვოს დღე ხვალინდელი. ამ დროს გავიწყდება, რომ შენ გესაუბრება ქალი - ბუნების ნაზი ქმნილება... გესაუბრება და კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ დედა, ქალი მარტოოდენ „სიცოცხლის საწყისი“ კი არაა, არამედ ვაჟკაცური სულით მოარული მშვენებაა, რომელსაც ზენაარმა უხვად მიამადლა ძალა „ვაჟკაცთა საფერ“, მიამადლა ამ ძალის შესატყვისი სიყვარულის გრძნობა, რომ ხარჯოს ნაწილ-ნაწილ სხვათა სასიკეთოდ, სხვათა გასახარებლად...

აი, ასეთი იყო ჩემი ემოცია , როცა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, ბორითის ტერიტორიული ერთეულის მაჟორიტარ დეპუტატს, ქალბატონ მანანა ბარბაქაძეს შევხვდი. როცა ამომრჩეველთაგან და იმ საპასუხისმგებლო სფეროდან,რომელსაც ქალბატონი მანანა ბარბაქაძე ემსახურება, ესოდენ დიდი სითბო, მადლიერება მოედინება, სურვილი გებადება, უფრო ახლოს გაიცნო ეს პიროვნება, თვალი გააყოლო იმ გზას, რომლითაც მოდის და რომლისკენაც მიდის თავისი ყოველდღიური საზრუნავით, ფიქრებით, ოცნებებით, სრული შემართებით...

აქედან გამომდინარე, ეს პატარა საგაზეთო სტატიაც იმ მადლიერების ანარეკლია, რასაც მის მიმართ ამჟღავნებენ მისი აქტიური ქმედებით კმაყოფილი ადამიანები.

„შრომაა უდიდესი სიქველე ამ ქვეყნად“

ხარაგაულის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ბორითში დაბადებულ გოგონას შრომის სიყვარული გამრჯე მშობლებისაგან და ახლობელი ადამიანებისაგან გამოუმუშავდა. ა/კ რკინიგზის ზესტაფონის მე-7 საშუალო სკოლის წარმატებული მოსწავლე, მანანა ბარბაქაძე, მუდამ ცხოვრების აქტიურ პოზიციებზე იდგა. საშუალო სკოლის დამამთავრებელ საატესტატო გამოცდებზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში შესატყვისი მიზანმიმართულებითა და რეალური მაგალითებით გაჯერებულმა მისმა ნაშრომმა „შრომაა უდიდესი სიქველე ამ ქვეყნად“ კომისიის საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

მოსწავლეობის პერიოდში სპორტით გატაცებაც გარკვეულ ვაჟკაცურ სულს მოითხოვდა გოგონასაგან. ინტერესით გადიოდა წვრთნას ფარიკაობის სექციაში და გახდა სპორტის ოსტატობის კანდიდატი.

ცხოვრების სამომავლო მიზანიც მამაცობასა და ნებისყოფის სიმტკიცეს მოითხოვდა მისგან. მაგრამ საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ქალიშვილის არჩევანი უალტერნატივო იყო - ის მოსკოვის პოლიციის აკადემიის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა და მისი სახით ძალოვანმა სტრუქტურებმა საუკეთესო სპეციალისტი მიიღეს. ქალბატონი მანანას განათლების დოკუმენტებს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის დიპლომიც ამშვენებს, სპეციალობით - ვაჭრობის ეკონომიკა და თანამედროვე კომერციული საქმიანობა.

გარკვეულ პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს საბურთალოს რაიონის არასრულწლოვანთა ინსპექციის უფროსი ინსპექტორია, შემდეგ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში სპეცნაწილის უფროსი, საბურთალოს რაიონის საპასპორტო, სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის უფროსი ინსპექტორი, ვაკე-საბურთალოს რაიონის საპასპორტო, სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის მეორე განყოფილების უფროსი, ვაკე-საბურთალოს რაიონის საპასპორტო, სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის განყოფილების უფროსი.

მინიჭებული აქვს პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკის წოდება.

„გიყვარდეს მოყვასი შენი...“

როცა ქალბატონ მანანა ბარბაქაძის შრომით ბიოგრაფიას, ადამიანებთან ურთიერთობის მისეულ ხედვას ეცნობით, რწმუნდებით, რომ მის პიროვნებაში ყოვლისმომცველია უფლის მცნება „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“. ამ სიყვარულით შთაგონებული თავმჯდომარეობდა იგი 2006-2012 წლებში „ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მშენებლობის ფონდს“. ამ ღვთიური მადლით შეუდგა მისი ქალური მხრები უკეთილშობილეს მისიას, რომ მისი მშობელი კუთხის, ბორითისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობისათვის სულის სავანე - ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის მშენებლობა წამოეწყო. ვინ იცის, რამდენ პრობლემასთან მოუხდა შეჭიდება, ბევრი უკეთურობისა და უმადურობის გადალახვა მოუწია, საკუთარი ბინის გაყიდვაც არად მიიჩნია, ოღონდ აღთქმული მიზანი განეხორციელებინა. ხეობის ოჯახთა შვილებისათვის „საკვირაო სკოლის“ დაფუძნებაც გადაწყვიტა, რომ ხელგარჯილობას, ქვაზე კვეთას, ქსოვასა და სხვა სპეციალობებს დაუფლებოდნენ ახალგაზრდები. გარკვეული მიზეზების გამო ამ კეთილ ჩანაფიქრს ვერ შეესხა ფრთები, მაგრამ ამ შენობაში დღეს დედათა მონასტერი მოქმედებს.

როცა ტაძრის მშენებლობისათვის მასალები მოიზიდა, მალე აგვისტოს ომიც დაიწყო... და, ნუ გაგიკვირდებათ, მასალები რომ არ გაფანტულიყო ამ ვაჟკაცური ბუნების ქალბატონმა გადაწყვიტა, რკინა-ბეტონის დამუშავების ორთვიანი კურსები გაევლო, რათა უფრო ქმედითად ჩართულიყო ტაძრის მშენებლობაში.

უფლის მადლით დაწყებული საქმე კეთილად დასრულდა: ქალბატონ მანანას გვერდით დაუდგა ხეობის მოსახლეობა, ტაძრის პროექტი საპატრიარქომ გააკეთა. კელიის აშენება და სხვა კეთილმოწყობითი სამუშაოები ბატონ ბიძინა ივანიშვილის ფონდისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შემოწირულობებით განხორციელდა.

2014 წელს ამოქმედდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია და დედათა მონასტერი...

...და ავედრებენ ხეობის მცხოვრებლები უფალს გარდაცვლილთა სულების სიმშვიდეს, ცოცხალთა ჯანმრთელობას, გამრავლებას, სიუხვესა და ქართველთა ერთიანობას...

* * *

ქალბატონი მანანა ბარბაქაძე 2012 წლიდან დღემდე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ საოლქო ორგანიზაციის თავმჯდომარეა.

-რაც შეეხება პოლიტიკაში ჩემს ჩართვას - აღნიშნავს ქალბატონი მანანა - ეს განაპირობა იმ სრულმა განუკითხაობამ, სისასტიკემ, დევნა-შევიწროებამ, რაც სუფევდა ნაციონალების ზეობის პერიოდში. მათი ორლესული მახვილის სიმწარე მეც მომხვდა, როცა მავანთა ნებით დამატოვებინეს სამსახური. სამომავლოდ არ ვიცი, დავრჩები თუ არა პოლიტიკაში, ის კი ვიცი, რომ ცხოვრების რომელ სფეროშიც არ უნდა ვიღვაწო, ადამიანთა სიყვარული, მათ ბედნიერებაზე ზრუნვა განუშორებელი იქნება ჩემგან.

* * *

როცა რესპონდენტი ძუნწად მაწვდის მონაცემებს თავისი საქმიანობის ირგვლივ, ვცდილობ, სხვა წყაროებიდან მივიღო შევსება...

როცა ზრუნავ, მავანს „კარი აუტალახო“, რომ უსახლკარომ ბინა მიიღოს, განსაკუთრებული საჭიროების მქონემ - ეტლი, სპორტსმენმა სპორტული ინვენტარი, შეჭირვებულმა - საკვები და ტანსაცმელი, ავადმყოფმა - მედიკამენტი და ა.შ - ეს განა ცოტაა გულში ვერდატეული სიკეთის გამოსასხივებლად?! და ამ სიყვარულს ხომ მთელი დატვირთვით ასხივებს კეთილი ქალბატონის კეთილი გული.

* * *

ასეთ მოუბართან ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებზე სასაუბროს რა დალევს. როგორც პედაგოგი, დავინტერესდი, თუ როგორია დღევანდელ სკოლასა და ახლგაზრდობაზე ქალბატონ მანანას შეხედულება. მით უმეტეს, როცა მოსწავლეობის წლებსა და აღმზრდელ პედაგოგებს შეეხო, კრძალვითა და პატივისცემით მოიგონა ქართული სიტყვიერების პედაგოგი, აწ განსვენებული ქალბატონი ცაცა მელაძე. (მინდა, მკითხველმა იცოდეს, რომ ქალბატონი ცაცა ერთ-ერთი უძლიერესი იყო თავისი ერუდიციითა და პროფესიული ოსტატობით გასული 60-70 -იანი წლების რკინიგზის სახაზო სკოლების პედაგოგთა შორის. ტრადიციული აგვისტოს თათბირები მაშინ თბილისში, რკინიგზელთა სახლში, გვიტარდებოდა და ქალბატონ ცაცას გამოსვლას ყველა ინტერესით მოველოდით. მ.გ.)

-პედაგოგზე, მის პროფესიონალიზმზე ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული მოსწავლის მომავლისათვის - აღნიშნავს რესპონდენტი. ცაცა მასწავლებელი დიდი ოსტატობით გვაყვარებდა ჩვენს მშობლიურ ენასა და ლიტერატურას. რუდუნებით შევყავდით იმ სამყაროში, რომელსაც „ადამიანთმცოდნეობა“ ჰქვია. დიახ, გონებაში მაქვს ჩაჭედილი ცაცა მასწავლებლის სიტყვები, რომ მხატვრული ლიტერატურით ჩვენ ადამიანთა ხასიათებს ვეცნობით - რა უნდა შევითვისოთ პერსონაჟისგან და რას უნდა განვერიდოთ. აქვე მინდა, გულსატკენ ფაქტსაც შევეხო: მსოფლიო წიგნიერების სტატისტიკამ გვიჩვენა, რომ ისეთი დიდი კულტურის ქვეყანა, როგორიც საქართველოა, ძალზე არასახარბიელო ადგილზეა მკითხველთა რაოდენობით. ვფიქრობ, ამ ფაქტმა გარკვეულად „გამოგვაფხიზლა“ და ვხედავთ, საინფორმაციო საშუალებებით როგორ მიმდინარეობს პროპაგანდა წიგნისკენ შემობრუნებისა. მინდა, ჩვენს იმედს, ჩვენს ბედნიერ ხვალინდელ დღეს, ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდობას ჩემი ხმაც მივაწვდინო, როგორც ქალმა, დედამ და ბებიამ, რომ ინფორმაციისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ვერც ერთი საშუალება ვერ გადასწონის წიგნსა და წიგნის სიკეთეს. წიგნი ცხოვრების კომპასია და ეცადეთ, რომ სწორედ ამ კომპასითა და უფროსთა რჩევით დაეპატრონოთ საქართველოს ბედნიერ აწმყოს!

ჩემი მხრიდან დავსძენ, რომ ჩემთვის წიგნი ადამიანთა გულებისაკენ მიმართული სიყვარულის გზაა. მარტო უსაყვარლესი მწერლის, ნოდარ დუმბაძის, შემოქმედება რად ღირს, მისი „მარადისობის კანონი“ ხომ თითოეულმა ჩვენგანმა უნდა ვაქციოთ ჩვენი ყოველდღიური ქმედების ლიბო-საძირკვლად. დრო ვერ გაახუნებს ამ სიტყვების ძალმოსილებას: „ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია. ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავვყოთ ერთმანეთის სული!...“

ქალბატონო მანანა!

თქვენთან საუბრის წუთებმა საოცარი სისწრაფით გაირბინეს. არც მაქვს უფლება ესოდენ საქმიანი ქალბატონის დროის ბიუჯეტს არ გავუფრთხილდე. სულაც აღარ მიკვირს, როგორც ახლა იტყვიან: „ასეთი დადებითი მუხტი რომ მოდის თქვენგან“. ბედნიერი ბრძანდებით, რადგან ყველაზე დიდი ძალა გიპყრიათ ხელთ - სიყვარული ადამიანებისა და სიყვარული ადამიანებისაგან!

აქვე მინდა მკითხველს ჩვენი საზოგადოების რამდენიმე წევრის გულისთქმაც შევუერთო ქალბატონ მანანა ბარბაქაძის პიროვნების შესახებ:

ეკა შველიძე (ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის დირექტორის მოადგილე, მთავარი ფონდის მცველი) : „ქალბატონ მანანა ბარბაქაძის სამოღვაწეო ასპარეზი ისეთია, რომ მას უამრავ ადამიანთან აქვს ურთიერთობა. წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მისი წყნარი, მშვიდი ხმა, მომხიბლავი ღიმილი და განუმეორებელი ჰაბიტუსი. სიკეთისა და სიხარულის სხვათათვის მინიჭება ქალბატონ მანანა ბარბაქაძის ყოველდღიური საზრუნავია. არადა რა გამოლევს ცხოვრებისაგან შეჭირვებულს ამ წუთისოფელში. დაიწყება გზების ძიება - როგორ ამოუდგეს მხარში ადამიანებს, რომელთაც სჭირდებათ სამართალი, წამალი, საარსებო სახსარი, ტკბილი და კეთილი სიტყვა... მისი ყოველდღიურობა ცხოვრებასთან ბრძოლაა იმ ადამიანებისათვის, ვისაც იგი მათ მეოხად მიაჩნიათ. ამ ბრძოლაში ხშირად იმარჯვებს ქალბატონი მანანა. ისეც ხდება, რომ მისი ძალები ბოლომდე ვერ უმკლავდება პრობლემებს, მაგრამ შეუდრეკელი ქალბატონი არ ნებდება ცხოვრების მწარე რეალობას და საკუთარსაც ბევრჯერ გასცემს უშურველად. თაობებს ეყოფა საამაყოდ ბორითში მისი აგებული ტაძარი და დედათა სავანე. ვაჟკაცებსაც გაუჭირდებათ ამ დროში ასე ლამაზად, უხმაუროდ ღვთისა და ერის სასიკეთოდ აკეთონ საშვილიშვილო საქმე! ბარაქალა, ქალბატონი მანანას სასიკეთო საქმეებს, წარმატება და წინსვლა არ მოაკლოს ზენაარმა საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში.“

ქალბატონო მანანა!

თქვენი სადეპუტატო ბორითის ადმინისტრაციული ერთეულის ამომრჩევლებმა: საჯარო სკოლის პედაგოგმა, ქალბატონმა მანანა გამცემლიძემ და საბავშვო ბაღის გამგე სოფო უფლისაშვილმა პოეტური მარგალიტები და ბრძენთა ფრაზები არ დაიშურეს თქვენი ღვაწლის წარმოსაჩენად, იმ მადლიერების გამოსახატავად, რასაც თქვენი თანამემამულეებისათვის აკეთებთ. რწმენას გამოთქვამენ, რომ კვლავაც ერთი წუთით არ იცხოვრებთ მათი თანადგომისა და მათი სიყვარულის გაზიარების გარეშე. გილოცავენ მოახლოებულ დედისა და ქალთა დღესასწაულებს.

ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობის და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ შემოქმედებითი კოლექტივი გულმხურვალედ უერთდება ყველა კეთილი ადამიანის სურვილს, გისურვებთ ჯანმრთელობას თქვენი ყველა ჩანაფიქრის განსახორციელებლად, ოჯახურ ბედნიერებას, ქალიშვილ რუსუდანისა და ღვიძლი ქალიშვილის ტოლფასი დისშვილის, სოფოს, ოჯახურ ბედნიერებას. დაე, თქვენს შვილიშვილებს: ნოდარ და მარიამ ჯორჯაძეებს, ქეთევან და ნანა არაბულებს თავიანთი განსწავლულობითა და ღირსეული ქართველობით მოეზღოთ თქვენთვის მათზე გაწეული ამაგის სამაგიერო.

გფარავდეთ უფლის მადლი!

მერი გიორგიძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად ტენდერი გამოაცხადა

სოფელ გედსამანიის ცენტრალურ გზაზე ბეტონის საფარი დაიგება

ხუნევის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ გედსამანიის ცენტრალური გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვისათვის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ტენდერი 11 თებერვალს გამოაცხადა. აღნიშნული პროექტის განხორციელების სავარაუდო ღირებულება 499 329 ლარს შეადგენს. პროექტის ფარგლებში სოფელ გედსამანიის ცენტრალურ გზაზე(3კმ) ბეტონის საფარი დაიგება. გამოცხადებულ ტენდერთან დაკავშირებით წინადადებები 28 თებერვლიდან 4 მარტამდე მიიღება.

ხევში საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ტენდერი გამოცხადდა

ხევის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის, ტენდერი 11 თებერვალს გამოცხადდა. სატენდერო განცხადების თანახმად წინადადებები მიმდინარე წლის 28 თებერვლიდან 4 მარტის ჩათვლით მიიღება.

სატენდერო ობიექტის სავარაუდო ღირებულება 88 710 ლარს შეადგენს.

რადარების შეძენისათვის ტენდერი გამოცხადდა

ორი სიჩქარის მზომი რადარების შესყიდვაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ტენდერი 19 თებერვალს გამოაცხადა. ტენდერში მონაწილეობისათვის წინადადებები 23 თებერვლიდან დაიწყო. შესყიდვის ობიექტის მიწოდება 2016 წლის 21 მარტის ჩათვლით უნდა განხორციელდეს, ერთწლიანი გარანტიით. ორი ერთეული სიჩქარის მზომი რადარის სავარაუდო ღირებულება 53 500 ლარით არის განსაზღვრული.

საყრდენი კედლების მოწყობისათვის ტენდერი 120 350 ლარზეა გამოცხადებული

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ასევე ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა საღანძილის, ლეღვნისა და დაბის ადმინისტრაციული ერთეულებში გზების საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები შესყიდვის მიზნით. პროექტების სავარაუდო ღირებულება 120 350 ლარს შეადგენს. საყრდენი კედლები მოეწყობა დაბაში: ბანცაძის, ბაბლიძის, კვირიკაშვილის, გველესიანის, ჭიპაშვილის, ნ. ჭიპაშვილია და რ.შავიძის სახლებთან. ასევე თაბუკაშვილისა და წერეთლის ქუჩაზე. სოფელ ლეღვანსა და საღანძილეში.

წინადადებები 28 თებერვლიდან 4 მარტამდე მიიღება.

2016 წელს ლაშე და ჯიცხი გაზიფიცირდება

25 თებერვალს საქართველოს მთავრობის სხდომის დაწყების წინ, პრემიერ მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, 21 მუნიციპალიტეტის 60-ზე მეტი სოფლის გაზიფიცირების საკითხზე ისაუბრა. აღნიშნული სამუშაოებისთვის 2016 წელს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 20 მილიონი ლარი გამოიყოფა. პრემიერის განმარტებით, სულ მალე 8000-მდე აბონენტი ბუნებრივი აირს მიიღებს. გაზიფიცირების სამუშაოები ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ლაშესა და კიცხში განხორციელდება.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონის“ პროექტის განხილვა სამტრედიის მუნიციპალიტეტში გაიმართა

18 თებერვალს „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონის პროექტის“ საჯარო განხილვა იმერეთის რეგიონისთვის სამტრედიის კულტურის ცენტრში მოეწყო.

კანონპროექტის პრეზენტაცია სამტრედიის კულტურის ცენტრში ავტორებმა, პარლამენტის წევრებმა — ეკა ბესელიამ, გედევან ფოფხაძემ და ოთარ ჩრდილელმა წარმოადგინეს. პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა და პროექტის მხარდამჭერი ორგანიზაციის, გაეროს ბავშვთა ფონდის, წარმომადგენელმა საქართველოში, საშა გრაუმანმა.

ღონისძიებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი, სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი, ირმა სებისკვერაძე და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 14-ვე საბავშვო ბაღის გამგე ესწრებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონის პროექტი“ ეს არის უმნიშვნელოვანესი რეფორმა, რომელიც ორი წელია მზადდება „საქართველოს პარლამენტის ადამიანთა უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის“ და გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფის) მიერ. კანონპროექტი ითვალისწინებს არაერთ სიახლეს. მათ შორის საქართველოს ყველა ბავშვისთვის უფასო ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობას, სტანდარტების შესაბამისი სანიტარულ-ჰიგიენური პირობებით უზრუნველყოფას, სტანდარტების შესაბამისი ორგანიზების წესისა და საკვების ხარისხის უზრუნველყოფას. გარდა ამისა დამკვიდრდება ორსაფეხურიანი სწავლების სისტემა: განათლება და ზრუნვა ორ წლამდე ბავშვებისთვის და სკოლამდელი განათლების მიცემა 2 წლის ასაკიდან სკოლაში შესვლამდე. კანონი ითვალისწინებს ბავშვთა დაცვას ნებისმიერი სახის ძალადობისგან.

კანონპროექტით გათვალისწინებულ სიახლეებზე ისაუბრა პროექტის ავტორმა და პარლამენტის წევრმა, ეკა ბესელიამ: „ ეს რეფორმა აქვს ძალიან მაღალი განვითარების მქონე ქვეყნებს. ჩვენ გთავაზობთ განათლების ერთიან მოდელს, რომლის მიხედვითაც ყველა ბავშვი ერთიანი პროგრამით ისწავლის. ახალი რეფორმა მიზნად ისახავს ბავშვთა აღზრდის პროცესში დაბრუნდეს განათლება, რადგანაც აღზრდა განათლების გარეშე წარმოუდგენელია. უზრუნველყოფილი იქნება ინკლუზიური და ხარისხიანი განათლება თითოეული ბავშვისთვის საქართველოში. კიდევ ერთი სიახლე - არ შეიძლება 2-3 წლამდე ჯგუფებში იყოს 25 ბავშვზე მეტი; არ შეიძლება 13 ბავშვზე მეტს ჰყავდეს ერთი აღმზრდელ-პედაგოგი. ამ კანონით სახელმწიფო პრიორიტეტად აცხადებს სკოლამდელი დაწესებულების ბავშვებისთვის აღზრდისა და განათლებისთვის სრულ მხარდაჭერას“ - განაცხადა ეკა ბესელიამ.

პროექტის მხარდამჭერი ორგანიზაციის, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში, საშა გრაუმანმა, მადლობა გადაუხადა ეკა ბესელიას, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეს, ლია გიგაურს გაწეული შრომისთვის. „სკოლამდელი ასაკის განათლებაში ჩადებული ინვესტიციები არის ბევრად უფრო მომგებიანი, როგორც ბავშვის ასევე მთელი საზოგადოების განვითარებისთვის. გაეროს ბავშვთა ფონდი უმნიშვნელოვანესად მიიჩნევს სკოლამდელი განათლების რეფორმას, რომელიც საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა ქალბატონი ეკა ბესელიას მეთაურობით დაიწყო. ეს კანონპროექტი ითვალისწინებს არაერთ სიახლეს, მათ შორის არის ეროვნული სტანდარტების დანერგვა მთელი ქვეყნის მასშტაბით, მონიტორინგის მექანიზმების გაძლიერება, იმისთვის რომ უზრუნველყოს ინკლუზიური და ხარისხიანი განათლება თითოეული ბავშვისთვის საქართველოში“ - განმარტა საშა გრაუმანმა.

კანონპროექტის რეგიონებში განხილვის აუცილებლობაზე ისაუბრა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაურმა: „ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კანონპროექტის რეგიონებში განხილვას და კონკრეტულად იმ ადამიანებთან შეხვედრას ვინც აქ არსებული სიახლეების განმახორციელებლები უნდა იყვნენ. ყველა შეკითხვა და რეკომენდაცია არის პასუხგასაცემი და გასათვალისწინებელი.“

პროექტის პრეზენტაციის შემდეგ დისკუსია გაიმართა, რომელშიც აღნიშნული სფეროს წარმომადგენლებმა თავიანთი რეკომენდაციები და შენიშვნები წარმოადგინეს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, მადლობა გადაუხადა კანონპროექტის ავტორებს და მათ, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ტრანსპორტირების საკითხზე რეკომენდაცია წარუდგინა: „ძალიან დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ მობრძანებისთვის. ეს კანონი ნამდვილად ხელს შეუწყობს შეიქმნას უკეთესი პირობები ჩვენი ბავშვებისათვის. მინდა აღვნიშნო, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, გასული ორი წლის განმავლობაში 7 ახალი საბავშვო ბაღი აშენდა და დაგეგმილია კიდევ სამის აშენება. მინდა ერთ მნიშვნელოვან საკითხზე გავამახვილო ყურადღება, იქნებ მოვახერხოთ და საბავშვო ბაღებამდე ბავშვთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა დავნერგოთ, ისევე, როგორც ეს სკოლებში ხდება“ - განმარტა კობა ლურსმანაშვილმა.

მნიშვნელოვანია, ასევე, რომ ახალი კანონპროექტით საბავშვო ბაღის აღმზრდელებს მიენიჭებათ პედაგოგის სტატუსი. ყურადღება მიექცევა ასევე, სტანდარტების შესაბამის სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებსა და საბავშვო ბაღებში კვების ხარისხის უზრუნველყოფას.

მარიანა ბურჯალიანი

ხარაგაულში „წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე“ აღინიშნა

24 თებერვალი „წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღეა“. ხარაგაულში წიგნის კითხვის დღე ბიბლიოთეკაში ახლად გახსნილ ინოვაციების ცენტრში აღნიშნეს. ღონისძიებას წიგნის მოყვარული სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეკრების ორგანიზატორი, საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, მარინე ვეფხვაძე გახლდათ. მისი თქმით, ამ დღის მიზანია საქართველო შეუერთდეს და გახდეს მსოფლიოს ამ დიდი ღონისძიების ნაწილი.

100-ზე მეტ ქვეყანას, რომელიც წიგნების კითხვის დღეს აღნიშნავს, საქართველო წელს პირველად შეუერთდა. ეს არის დღე, რომელიც ეძღვნება მწერლებს, მკითხველებს, ილუსტრატორებს, გამომცემლობებს და ყველაზე მთავარს, წიგნების როლს ადამიანის ცხოვრებაში. ამ დღესთან დაკავშირებით იკრიბებიან სკოლებში, უნივერსიტეტებში, საგამომცემლო დარბაზებში და ბიბლიოთეკებში. წიგნის კითხვის დღეს შეკრებილი საზოგადოება ხმამაღლა კითხულობს იმ კლასიკოსების ნაწარმოებებიდან ან ლექსებიდან ნაწყვეტებს, რომლებიც გამორჩეულად უყვართ.

ღონისძიებაზე განსაკუთრებული სტუმრის სტატუსით მოწვეული იყვნენ ხარაგაულის საპატიო მოქალაქე ენდი ბუაჩიძე და წლების განმავლობაში კიცხის სკოლა ინტერნატის დირექტორი, ღვაწლმოსილი პედაგოგი ვარლამ ვეფხვაძე.

მოწვეულმა სტუმრებმა ფინჯან ჩაისთან ერთად ისაუბრეს წიგნის აუცილებელ როლზე დღევანდელ საზოგადოებაში. მიმოიხილეს პრობლემები, რომელიც წიგნის კითხვის არსებულ დონეს უკავშირდება და აქვე აღნიშნეს, რომ წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღის საქართველოში აღნიშვნა ხელს შეუწყობს მომავალი თაობის წიგნთან და ლიტერატურასთან უფრო მეტ დაახლოებას.

წიგნისადმი დამოკიდებულებაზე ისაუბრა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა, ირინე ჩხეიძემ. მან კიდევ ერთხელ მონუსხა დამსწრე საზოგადოება მის მიერ წაკითხული ლექსით. „ძალიან კარგია, რომ არსებობს წიგნის კითხვის დღე. ყველა ფილმს, მუსიკას, ყველაფერს მირჩევნია წიგნი. იგი ჩემთვის ერთგვარი ანტიდეპრესანტია.“

საღამოს ორგანიზატორს ქალბატონ მარინე ვეფხვაძეს მადლობა გადაუხადა ხარაგაულის N2 საჯარო სკოლის დირექტორმა ვალერი გოგნაძემ და დასძინა: „მოხარული ვარ, რომ ხარაგაულშიც ასე ლამაზად აღინიშნა ეს დღე. შევიკრიბეთ წიგნის და პოეზიის მოყვარული ყველა თაობის წარმომადგენელი, წავიკითხეთ წიგნები და ყველამ ერთხმად აღვნიშნოთ, რომ წიგნი - ეს არის ყველაზე დიდი განძი, რაც კი კაცობრიობას გააჩნია.“

წიგნის როლის მნიშვნელობაზე ისაუბრა ასევე ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ: „მოგეხსენებათ, რომ საქართველო არის წიგნის ქვეყანა. ჩვენ გვყავდა ისეთი გენიოსები, როგორიც იყო შოთა რუსთაველი, რომელსაც მთელი მსოფლიო სცემს პატივს. მე-19 საუკუნეში კი, გვყავდა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი. მათ შექმნეს ისეთი შედევრები, რომელთაც უდიდესი გარდატეხა მოახდინეს ქართველი ერის ცნობიერების ჩამოყალიბებაში. სამწუხაროდ, XXI საუკუნეში ინტერნეტ სივრცეებმა და სოციალურმა სფეროებმა წიგნი მეორეხარისხოვანი გახადეს. თუმცა, ჩემი აზრით, წიგნს ვერაფერი ჩაანაცვლებს.“

მარიანა ბურჯალიანი

იმერეთის მასშტაბით ხარაგაული ყველაზე სუფთა მუნიციპალიტეტად დასახელდა

იმერეთის მუნიციპალიტეტებიდან დასუფთავების კუთხით, რომელს თვლით ყველაზე მოწესრიგებულ მუნიციპალიტეტად?- იმერეთის მთავარ საინფორმაციო სააგენტო **top-news.com.ge**-ზე (გაიგე მთავარი იმერეთში) გამოკითხვა რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, იმერეთის რეგიონის ყველაზე სუფთა მუნიციპალიტეტად ხარაგაული დასახელდა. ხარაგაულმა გამოკითხვაში მონაწილეთა ხმების 63.88% მიიღო.

გამოკითხვასთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავების“ დირექტორი თემურ ფურცელაძე: „ეს წარმატება ჩემი თანამშრომლების დამსახურებაა. იმ ადამიანების, რომლებიც ამ საქმეს ემსახურებიან. მივესალმები ასეთ გამოკითხვას. ეს სტიმულს აძლევს არა მარტო ხარაგაულს, არამედ სხვა მუნიციპალიტეტებსაც.“

ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავება“ ბორითის, ღორეშის, უბისის, მაქათუბნის, ვერტყვიჭალის, საქასრიის, ხევის, მოლითის, სადგურ მარელისის, ანეულას, ზვარის, კიცხის, საქარიქედის, თეთრაწყაროს, წყალაფორეთის, ვარძიის, ხიდრის, დაბა ხარაგაულის, პატარა ხარაგაულის, ჯაფარეულის, ბაზალეთის, საღანძილის, ფარცხნალის ტერიტორიებს ემსახურება. ა(ა)იპ ,,ხარაგაულდასუფთავების“ სამოქმედო ტერიტორიაზე ამ ეტაპზე ნარჩენების 143 მყარი და პოლიეთილენის ბოთლების შემგროვებელი 26 კონტეინერია განთავსებული.

აგვისტოს ბოლოს ა(ა)იპ ,,ხარაგაულდასუფთავების“ სამსახური, შპს „გამა კონსალტინგისგან“ საჩუქრად მყარი ნარჩენების შემგროვებელ კონტეინერს (100ც) და მაღალი გამავლობის ნაგავმზიდს (1ცალი) მიიღებს. აღნიშნული ტექნიკა იმ ტერიტორიებზე განთავსდება, რომელსაც ამ ეტაპზე ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავება“ ვერ ემსახურება. ამჟამად მიმდინარეობს ავტოფარეხის მშენებლობა, სადაც მომავალში ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავების“ კუთვნილი ტექნიკა განთავსდება.

ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავების“ სამსახური ზამთრის პერიოდში დილის 07სთ-დან - საღამოს 15სთ-მდე მუშაობს. ზაფხულის პერიოდში დილის 06სთ-დან 14 სთ-მდე. 14 საათის შემდეგ დაბის ტერიტორიას მორიგე მეეზოვეები საღამოს 18 საათამდე ემსახურებიან.

ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებაში“ ასევე მუშაობს წყალანირების ჯგუფი, რომელიც სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობას ემსახურება.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲪᲘᲘᲗ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲔᲪᲕᲚᲔᲑᲐ

16 თებერვალს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორი, ირმა სებისკვერაძე, მუნიციპალიტეტში არსებულ საბავშვო ბაღების გამგეებს შეხვდა და სკოლამდელ დაწესებულებებში მიმდინარე ცვლილებებზე ესაუბრა. შეხვედრაზე ის ახალი კანონპროექტი განიხილეს, რომელიც ძალაში 2017 წლის პირველი სექტემბრიდან შევა.

ახალი რეგულაციით სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას სახელი ეცვლება. „ადრეულ და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონი აწესრიგებს საქართველოში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობას, განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძვლებს, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ორგანიზაციულ სტრუქტურას, ადგენს მათი დაფუძნების, ავტორიზაციის, საქმიანობის, ანგარიშვალდებულებისა და სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირების უფლებებს, ვალდებულებებს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსების სისტემასა და პრინციპებს.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს 2020 წლისათვის ავტორიზაციის გავლა მოუწევთ. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფები უნდა დაკომპლექტდეს მაქსიმალური ოდენობის მიხედვით. ახალი რეგულაციიდან გამომდინარე ერთი ასაკის ბავშვთა არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში დაწესებულება უფლებამოსილია, ჩამოაყალიბოს მრავალასაკობრივი ჯგუფი მომიჯნავე ასაკის ბავშვებისგან, არა უმეტეს 10 ბავშვის შემადგენლობით. ასევე სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში განსაზღვრულია აღსაზრდელთა რაოდენობაც. აღმზრდელს დაემატა ვალდებულება და ამასთანავე გაეზარდა სტატუსი და იგი აღმზრდელ - პედაგოგია. ხოლო ძიძის სტატუსი აღმზრდელით შეიცვალა.

დაწესებულებებში იქმნება 7 წევრისგან შემდგარი საკონსულტაციო საბჭოები, რომლის შემადგენლობაში შევა 5 მშობელი და დაწესებულების 2 აღმზრდელ - პედაგოგი. საბჭო ირჩევა 2 წლის ვადით. მისი საქმიანობა რეგულირდება ამ კანონითა და დაწესებულების წესდებით. საბჭოს სხდომაზე დასწრება შეეძლება გაერთიანების დირექტორს, თუმცა ხმის უფლების გარეშე. საბჭო მონიტორინგს გაუწევს ბაღებში მიმდინარე პროცესებს. საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად შესაძლებელია, მოწვეულ იქნეს ექსპერტი - სპეციალისტი.

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი, ირმა სებისკვერაძე, აღნიშნავს, რომ მოხდება დასაქმებულ პირთა მოთხოვნების შეცვლა. „შესაძლოა, ავტორიზაციასთან დაკავშირებით აღმზრდელსა და აღმზრდელ - პედაგოგს მოეთხოვოს უმაღლესი განათლება. ამ მხრივ ხარაგაულის საბავშვო ბაღებში პრობლემები გვექნება, რადგან ზოგიერთი აღმზრდელის თანაშემწე პროფესიული განათლების არმქონეა. აღმზრდელ - პედაგოგის შრომის ანაზღაურების ზღვრული ოდენობა საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით განისაზღვრება“ - აღნიშნა ირმა სებისკვერაძემ.

„მნიშვნელოვანია, რომ საბავშვო ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავა. გამომდინარე აქედან, ქვეყნის მასშტაბით, საგანმანათლებლო სისტემაში არსებული პროგრამები და მეთოდები ყველასთვის ერთნაირი იქნება.“ - განმარტა სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მოადგილემ, თამარ ავალიშვილმა.

შეხვედრაზე საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ლალი სებისკვერაძემ, დამსწრე საზოგადოებას ის სატრენინგო პროგრამა გააცნო, რომელიც ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2016 წლის პირველი ნახევრისთვის განხორციელდება.

„ტრენინგი მხოლოდ პროფკავშირთა წევრთათვის ჩატარდება და მას პროფესიული საქმიანობისა და მათი მოვალეობის დამცველი ორგანიზაცია ჩაატარებს. რაც შეეხება ორგანიზაციაში გაწევრიანებას. იგი შეუძლია საგანმანათლებლო სისტემაში დასაქმებულ პირს პირადი განცხადების საფუძველზე, რომელსაც ხელფასიდან ყოველ თვე ეჭრება 1%. ამ ეტაპზე გთავაზობთ ტრენინგებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებულ პირთათვის - „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ადმინისტრირება და მართვა“. ასევე ბაგა - ბაღის აღმზრდელთათვის (დღის დაგეგმვა, ბავშვთა ფსიქოლოგია და ინკლუზია, სკოლისათვის მზაობა), აღმზრდელთა ტესტირებისათვის მოსამზადებელი ტრენინგები (ზოგადი და პროფესიული უნარები)“ - განმარტა ქალბატონმა ლალიმ.

თამარ მაღრაძე

ᲥᲝᲗᲘᲚᲝ ᲥᲠᲝᲚᲝᲡ ᲓᲔᲓᲐᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲮᲔᲮᲘᲚᲘᲡ ᲜᲔᲠᲒᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲠᲒᲝ

სოფელ ქროლის დედათა მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ხეხილის ნერგები დაირგო. ნერგების დარგვის პროცესში მონაწილეობა დედა დარიასთან ერთად „ხარგაულკეთილმოწყობის“ თანამშრომლებმა და წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის მოსწავლეებმა მიიღეს.

როგორც დედა დარიამ აღნიშნა, 100 სხვადასხვა ხეხილის ნერგი (თხილი, ნიგოზი, ნუში, ვაშლი, ატამი) მონასტერს გორის მკვიდრმა ავთანდილ ჩადუნელმა შესწირა.

დედა დარიამ მადლობა გადაუხადა ბატონ ავთანდილს და ამ პროცესის ყველა მონაწილეს: „მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ ავთანდილ ჩადუნელს ასევე ხარაგაულის ადგილობრივ ხელისუფლებას. მათ დიდი წვლილი მიუძღვით მონასტრის გაძლიერებაში. მადლობა წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის დირექტორს, მამა ანტონს, რომელმაც მოსწავლეები გამოგზავნა ჩვენს მოსახმარებლად. მათ ნამდვილად დიდი შრომა გასწიეს. ასევე დიდი მადლობა „ხარაგაულკეთილმოწყობის” და ,,ხარაგაულდასუფთავების“ თანამშრომლებს“.

დღის ბოლოს დედა დარიამ სტუმრები ტრაპეზზე მიიწვია და ყველა დალოცა.

2016 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔᲛᲘᲬᲘᲐᲜ ᲤᲔᲠᲛᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2016 წლის მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის განხორციელება დაიწყო. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე აღნიშნული პროგრამით სულ 11 657 ბენეფიციარი ისარგებლებს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურიდან მოპოვებული ინფორმაციით, მოსარგებლეებს რომელთაც საკუთრებაში, ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ 0,25 ჰა-მდე ჯამური ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი „აგრო ბარათზე “ დაერიცხებათ 50 ქულა.

აღნიშნული ქულა, რომელიც 50 ლარს შეადგენს მოსარგებლეებს პირველ მარტს დაერიცხებათ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ასეთი მოსარგებლე 3 541-ია. ასევე

მოსარგებლეებს, რომელთაც საკუთრებაში, ან ფაქტობრივ მფლობელობაში, გააჩნიათ 0,25 ჰა-დან - 1,25 ჰა-ს ჩათვლით ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელსაც იყენებენ ერთწლიანი კულტურების მოსაყვანად, გადაეცემათ ნაკვეთის ფართობის პროპორციული ღირებულების სასოფლო-სამეურნეო (ხვნის) ბარათი 1 ჰექტარზე 140 ლარის გადაანგარიშებით.

ხარაგაულში ამ ტიპის ხვნის ბარათს სულ 8 116 მოსარგებლე მიიღებს.

აღსანიშნავია, რომ ბარათის გადაცემისას გამგებლის წარმომადგენელმა მოსარგებლეს უნდა აუხსნას ხვნის ბარათით სარგებლობის წესი. მოსარგებელე უფლებამოსილია, გარკვეულ შემთხვევაში დააბრუნოს ხვნის ბარათი სააგენტოში, რათა ამ ბარათით გათვალისწინებული სარგებლის ექვივალენტი ქულების ოდენობა სააგენტომ მოსარგებლეს ჩაურიცხოს „აგრო ბარათზე“.

ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲐᲜ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ

დაკარგვის ან დაზიანებისას ხვნის ბარათი შეიძლება გამოიცვალოს. თუ ბარათი მოსარგებლეზე გადაცემის შემდეგ დაზიანდა, მაშინ გამგებლის წარმომადგენელმა სააგენტოს უნდა მიმართოს წერილით, რომელსაც უნდა დაერთოს: მოსარგებლის ახსნა-განმარტება, დაზიანებული ბარათი და მოსარგებლის პირადობის მოწმობის ასლი. ხოლო მოსარგებლეს თუ დაეკარგა ბარათი მაშინ საჭიროა გამგებლის წარმომადგენელმა მიმართოს სააგენტოს წერილით და თან დაურთოს: მოსარგებლის ახსნა-განმარტება, მოსარგებლის მიერ ბარათის დაკარგვის შესახებ პოლიციაში შეტანილი განცხადებისა და მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები.

„ᲐᲒᲠᲝ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ“

მოსარგებლეებს ქულები დაერიცხებათ 2014-2015 წლებში „ლიბერთი ბანკის“ მიერ დარიგებულ „აგრო ბარათზე“. თუ 2016 წლის საგაზაფხულო პროექტის მოსარგებლეს არ გააჩნია „აგრო ბარათი“, იგი უნდა მივიდეს „ლიბერთი ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში, სადაც მას გადასცემენ მისთვის განკუთვნილ „აგრო ბარათს“

თუ მოხდა მოსარგებლის „აგრო ბარათის“ დაკარგვა ან დაზიანება, უნდა მიმართოს „ლიბერთი ბანკის“ ფილიალს, სადაც მას გადასცემენ ახალ ბარათს. დაკარგული „აგრო ბარათების“აღსადგენად, მოსარგებლემ „ლიბერთი ბანკს“ უნდა მიმართოს პირველ მარტამდე, რომ არ მოხდეს, მათ „აგრო ბარათზე“ დარიცხული თანხის სხვის მიერ გამოყენება. (დაკარგული ,,აგრო ბარათის” აღდგენა შეიძლება პირველი მარტის შემდეგაც, თუმცა თუ მოხდა დაკარგული „აგრო ბარათით“ ქულების გამოყენება, მაშინ ეს ჩაითვლება მოსარგებლის მიერ გამოყენებულად და მას დამატებითი ქულები აღარ დაერიცხება).

თუ მოსარგებლე არის განსაკუთრებული საჭიროების მქონე და არ შეუძლია ბანკში მისვლა მისთვის განკუთვნილი „აგრო ბარათის“ ასაღებად, მაშინ საჭიროა, მიმართოს გამგებლის წარმომადგენელს და მიუთითოს ნდობით აღჭურვილი პირი, რომლის სახელზეც დაიბეჭდება მისთვის განკუთვნილი „აგრო ბარათი“, რაზეც დაირიცხება შესაბამისი ქულები.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲨᲘ ᲘᲖᲐ ᲕᲔᲤᲮᲕᲐᲫᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ

23 თებერვალს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიდ დარბაზში იზა ვეფხვაძის ახალი წიგნის „ფარცხნალი - კორიფეთა სამკვიდრო“ პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციას მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები, სოფელ ფარცხნალის მკვიდრნი, ხარაგაულელები და თბილისის ინტელიგენციის, სამეცნიერო და სახელოვნებო წრეების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საზოგადოების წინაშე წიგნის პრეზენტაციით წიგნის ავტორი, იზა ვეფხვაძე, წარდგა. ქალბატონმა იზამ ვრცლად მოუთხრო საზოგადოებას იმ უნიკალური სოფლის და დიდებული ადამიანების შესახებ, რომლებიც ამ სოფელმა აღზარდა.

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ პროფესორები: ვახტანგ აბაშიძე, კარლო ბუაჩიძე, დავით სახვაძე, გიორგი გაგოშიძე, მაია სახოკია. გადაცემა „ჩვენი საგანძურის“ ავტორი და წამყვანი ვანო ჯაფარიძე, წიგნის რედაქტორი, საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო “ ივერიონის “ დირექტორი ზაურ ნაჭყებია, ექიმი თინა ბარამიძე, ბატონი თეიმურაზ შაშიაშვილი, მხატვარ-დიზაინერი ისრაელიდან მაქს შავიტი, რომელმაც სპეციალური პრიზით „მუზა“ დააჯილდოვა წიგნის ავტორი. ასევე, კლუბ „26 საუკუნის“ ხელმძღვანელი - ზაირა დავარაშვილი.

ყველა გამომსვლელმა ისაუბრა ამ მართლაც უნიკალური სოფლის გამორჩეულობაზე.

საღამოს ესწრებოდა გინესების წარმომადგენელი საქართველოში, ბატონი გვანჯი მანია, რომელმაც გადაწყვიტა, რომ კიდევ ერთხელ წიგნის ავტორთან ერთად შეისწავლოს ყველა საკითხი. 10 წლის წინ ამ თემაზე იზა ვეფხვაძემ, ჯუმბერ ლეჟავამ და გვანჯი მანიამ მიმართეს გინესის წარმომადგენლობას თხოვნით, სოფელ ფარცხნალის გინესის რეკორდების წიგნში შეტანის შესახებ. აქვე იზა ვეფხვაძემ კიდევ ერთხელ გამოხატა სურვილი, რომ სოფელ ფარცხნალს სოფელ-მუზეუმის სახელი ეწოდოს.

24 თებერვალს წიგნზე სასაუბროდ იზა ვეფხვაძე მიიწვიეს საქართველოს მთავარ რადიოში. სტუდიაში ჟურნალისტ ეკა ტალახაძეს დაებადა იდეა, რომ მოხდეს იზა ვეფხვაძის შეხვედრა რადიომსმენელებთან, ლიტერატურული სპექტაკლით „ფარცხნალი-კორიფეთა სამკვიდრო”. ეს სპექტაკლი თეატრის რეპერტუარში უკვე 10 წელია არსებობს - სახელწოდებით „არის ასეთი სოფელი“...

აპრილში, მთავარი რადიოს გადაცემის „ხაზის რადიოს“ ეთერში უნიკალური სოფლის - ფარცხნალის - შესახებ ლიტერატურული თეატრი მსმენელს ინფორმაციას არა წიგნით, არამედ მხატვრული სიტყვით მიანოდებს.

მკითხველს შევახსენებთ, რომ წიგნის რეცენზენტები არიან: აკადემიკოსი გიორგი (გოგი) ხარაძე, პროფესორები - კარლო ბუაჩიძე და მაია სახოკია. წიგნის რედაქტორია, საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „ივერიონის“ დირექტორი, ზაურ ნაჭყებია.

ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ - ᲡᲐᲑᲘᲣᲯᲔᲢᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲛ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲐᲓ ᲨᲔᲐᲤᲐᲡᲐ

23 თებერვალს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის (თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი) სხდომა გაიმართა. სხდომაზე დეპუტატებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის, კობა ლურსმანაშვილის, 2015 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში განიხილეს. ასევე მოისმინეს ინფორმაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ. კომისიის წევრთა უმრავლესობამ გამგებლის მუშაობა დადებითად შეაფასა და 2015 წელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის წარმატებულად დაასახელა.

„მუნიციპალიტეტის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებულმა ინფრასტრუქტურულმა, სოციალურმა, საგანმანათლებლო, რელიგიურ და კულტურულ-სპორტულმა პროექტებმა არსებითი გავლენა მოახდინა მოსახლეობის ყოფის გაუმჯობესებაზე. სწორედ ეს მაძლევს მყარ საფუძველს, რომ გამგებლის მუშაობა დადებითად შევაფასო“ - აღნიშნა ვარლამ ჭიპაშვილმა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრებმა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე იმსჯელეს.

საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, დააყენა საკითხი, რათა მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ქონებების პრივატიზება დროულად მოხდეს. იგი ასევე, შეეხო ტრანსპორტირების საკითხს და დასძინა, რომ მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად მუნიციპალიტეტმა 2015 წელს 13, 3 ათასი ლარი დახარჯა. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თქმით, მიმდინარე წელს ამ პროგრამით სარგებლობის საშუალება იმ სოფლებსაც უნდა მიეცეს, სადაც მუნიციპალური ტრანსპორტი უკვე შეძენილია. მაგალითად: ბაზალეთსა და საღანძილეში.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების“ თავმჯდომარემ, იუზა კელენჯერიძემ მუნიციპალიტეტში პირუტყვის სასაკლაოს მოწყობის აუცილებლობაზე ისაუბრა და დასძინა, რომ ამ მიმართულებით საჭიროა მუნიციპალიტეტის გამგეობამ დაფინანსება გაიღოს თუ ამის სამართლებრივი გზა გამოიძებნება.

აღნიშნული პოზიცია გაიზიარა ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარემ. გელა გოლუბიანი მიიჩნევს, რომ სასაკლაოსთან დაკავშირებული საკითხი უფრო მეტ ყურადღებასა და შესწავლას საჭიროებს.

კომისიის წევრმა, იუზა კელენჯერიძემ, ასევე ისაუბრა რახიელას ღელის გაწმენდის აუცილებლობაზე. მისივე განმარტებით, თუ, უახლოეს მომავალში, რახიელას ღელე არ გაიწმინდება ის საფრთხეს შეუქმნის მოსახლეობას.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, გივი თხელიძემ, 2015 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური მიმართულებით განხორციელებული პროექტები დადებითად შეაფასა. „გარკვეული სოციალური შეღავათები გაეწია მოსახლეობას. მათ ისარგებლეს სხვადასხვა სოციალური პაკეტით. მოხარული ვარ, რომ სოციალური კუთხით გასულ წელს გაცილებით მეტი თანხა დაიხარჯა, ვიდრე წინა წლებში იხარჯებოდა.“

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მდივანმა ლენა აბაშიძემ, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში არსებულ მდგომარეობაზე. დეპუტატის აზრით, გამგებელ კობა ლურსმანაშვილს ახალი საბავშვო ბაღების აშენებასა და არსებულ ბაღებში პირობების გაუმჯობესების საკითხში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ქეთევან ზუმბაძემ აღნიშნა, რომ საბავშვო ბაღების შენობების მოცულობა თავიდანვე მეტი უნდა იყოს განსაზღვრული, ვიდრე დღესაა, რადგან მისი აზრით, ახალ საბავშვო ბაღებში სოფლებში არსებული ბავშვთა კონტიგენტის შესაბამისი ფართი არაა გათვალისწინებული (არასაკმარისია).

აღნიშნული პოზიცია არ გაიზიარა დეპუტატმა გიორგი გრიგალაშვილმა და განაცხადა,რომ ნაციონალურ მოძრაობას ხარაგაულში ბაღები საერთოდ არ აუშენებია და რიგ სოფლებში აღსაზრდელებს საერთოდ არ ჰქონდათ შესაძლებლობა ესარგებლათ საბავშვო ბაღებით. დღეს კი, მდგომარეობა შევცვალეთ უკეთესობისკენ და ოპოზიცია ისევ უკმაყოფილოა?!

საკრებულოს წევრმა, მარინე ვეფხვაძემ ისაუბრა დაბაში მდებარე მრავალბინიანი საერთო საცხოვრებლის გადახურვის აუცილებლობაზე და აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს ამ კუთხით გამგეობის მხრდან მეტი აქტიურობაა საჭირო.

კომისიის სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესახებ დეპუტატები უფრო ვრცლად 7 მარტს გამართულ საკრებულოს სხდომაზე იმსჯელებენ და კომისიის დასკვნებს წარადგენენ.

თამარ მაღრაძე

კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსიის მორიგი საჯარო პრეზენტაცია მოეწყო

ხონის მუნიციპალიტეტში, კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსიის მორიგი საჯარო პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორი, გივი ჭიჭინაძე დაესწრნენ. ხარაგაულიდან კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის საჯარო პრეზენტაციას, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე პაატა გოგოლაძე, გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი, ირინე ჩხეიძე, გამგებლის მრჩეველი ტურიზმის საკითხებში, მამუკა ჭიპაშვილი, ა(ა)იპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ცენტრის დირექტორი, ბერიკა თურმანიძე, ა(ა)იპ კულტურის ცენტრის დირექტორი ვასილ კიკნაძე და ა(ა)იპ ხარაგაულის მოსწავლე-ახალგაზროდობის სახლის დირექტორი მაია ბლუაშვილი ესწრებოდნენ. კულტურის სტრატეგიის მიზანია, განსაზღვროს საქართველოში კულტურის და შემოქმედებითი სექტორის განვითარების გრძელვადიანი ხედვა, რომელიც წარმოაჩენს როგორც კულტურის თანდაყოლილ ღირებულებას, ასევე, მის მნიშვნელობას ეროვნული იდენტობისა და სოციალური ერთობის განმტკიცებასა და ქვეყნის მდგრად განვითარებაში. კულტურის სტრატეგიის შემუშავების პროცესი 2014 წლიდან დაიწყო. მთავარი პრინციპები: ღიაობა, გამჭვირვალობა და ინკლუზიურობაა. აღნიშნულ პროცესში ჩართულია კულტურისა და შემოქმედების სფეროს მოღვაწეები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ექსპერტები და დაინტერესებული პირები.

პროგრამის ფარგლებში საქართველოს რამდენიმე ქალაქში 34 შეხვედრა უკვე გაიმართა.

ხარაგაულის კინოთეატრში „ტყის კოდექსის“ ახალი კანონპროექტის განხილვა მოეწყო

22 თებერვალს ხარაგაულის კინოთეატრში „ტყის კოდექსის“ კანონპროექტის განხილვა მოეწყო. კანონპროექტი ხარაგაულელებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სატყეო პოლიტიკის სამმართველოს უფროსმა, კარლო ამირგულაშვილმა და ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა, თორნიკე გვაზავამ, წარუდგინეს.

პრეზენტაციას ხარაგაულის გამგებლის მოადგილეები, გამგებლის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, იმერეთის სატყეო სამსახურის ხარაგაულის სატყეო უბნის უფროსი, ვლადიმერ მანჯავიძე, და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე საქართველოს ტყის ახალი კოდექსის მიმართულებებსა და კანონპროექტში შეტანილ ცვლილებებზე ისაუბრეს. ასევე განიხილეს მუნიციპალიტეტში ხე-ტყესთან დაკავშირებული პრობლემები.

კოდექსის ძირითადი მიზანია ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვა, შენარჩუნება, მეურნეობების აღდგენა, ხარისხის და რაოდენობრივი მაჩვენებლის შენარჩუნება-გაზრდა და ამ პროცესში საზოგადოების აქტიური მონაწილეობა. კანონპროექტის ერთ-ერთ მთავარ სიახლეს წარმოადგენს საქართველოში ტყეზე საკუთრების ახალი ფორმების შემოღება. თუ ამჟამად ტყის მესაკუთრე არის მხოლოდ სახელმწიფო, ახალი კანონის მიხედვით გვაქვს საკუთრების სამი სახე: სახელმწიფო, ადგილობრივი და კერძო საკუთრება, რაც ევროპული სტანდარტის შესაბამისია.

როგორც შეხვედრაზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სატყეო პოლიტიკის სამმართველოს უფროსმა, კარლო ამირგულაშვილმა, განაცხადა, ხარაგაულისა და ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნების ინვენტარიზაცია 2013 წელს დაიწყო. მისი თქმით, ხარაგაული და ბორჯომი ის პირველი მუნიციპალიტეტებია, რომლებმაც 20 წლის შემდეგ პირველად განახორციელეს ინვენტარიზაცია.

„ტყის ახალ კოდექსს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. შემოდის განსხვავებული მართვისა და საკუთრების ფორმები. შესაძლებელია, მუნიციპალიტეტი გახდეს მესაკუთრე, გარდა ამისა, შესაძლოა, კერძო პირიც იყოს მესაკუთრე სახელმწიფოსთან ერთად. ამ კოდექსით ასევე ხელს ვუწყობთ, დაბრუნდეს პროფესიული კადრი ტყის მართვაში, როგორც სავალდებულო მონაწილეობის ფორმა. ვფიქრობ, ხარაგაულში მოსახლეობის ტყეზე დამოკიდებულების გამო შეხვედრა იყო კრიტიკულიც, მაგრამ, მათი საჭიროებიდან გამომდინარე, ეს არ არის გასაკვირი. მათ წინა კანონმდებლობამ ძალიან ბევრი უფლება წაართვა. არის ისეთი მოთხოვნებიც, რომელთა გათვალისწინებაც, საერთო სახელმწიფოებრივი სიკეთიდან გამომდინარე, შესაძლოა, ვერ მოხდეს, თუმცა ამ შემთხვევაშიც არგუმენტირებული პასუხი გვექნება. მთლიანობაში შეხვედრა ძალიან კარგი და სასარგებლო იყო.“ - აღნიშნა კარლო ამირგულაშვილმა.

დასასრულს კი კითხვა- პასუხის რეჟიმის ფარგლებში დაინტერესებულმა პირებმა მათთვის მნიშვნელოვანი კითხვები და შენიშვნები გააჟღერეს. როგორც სტუმრებმა აღნიშნეს, კანონპროექტში ყველა შენიშვნა შეძლებისდაგვარად იქნება გათვალისწინებული.

მარიანა ბურჯალიანი

პროექტის „ინტერნეტი და კომპიუტერი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“ მეორე ეტაპი დაიწყო

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია მეორე წელია, პროექტს „ინტერნეტი და კომპიუტერი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას,“ საქართველოს პრეზიდენტის ფონდისა და საერთაშორისო კომპანია „აირექსის“ ერთობლივი დაფინანსებით ახორციელებს. პროექტის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით, უნდა შეირჩეს 70 ბიბლიოთეკა, რომელიც აღიჭურვება კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით. ეს გულისხმობს: კომპიუტერს, ქსეროქსს, პრინტერს, სკანერსა და ინტერნეტის ინსტალაციას.

პროექტის პირველი ეტაპი 2015 წელს კახეთის რეგიონში ჩატარდა და რეგიონის მასშტაბით 48 სასოფლო ბიბლიოთეკა კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით აღიჭურვა. წელს პროექტის მეორე ეტაპი დაიწყო, რომლის ფარგლებშიც, 24 თებერვალს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკას (დირექტორი ნიკოლოზ მაჭავარიანი)საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წარმომადგენელი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“ წამყვანი სპეციალისტი, უჩა ჯიბღაშვილი, ესტუმრა.

ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა, ნიკოლოზ მაჭავარიანმა, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წარმომადგენელთან ერთად მუნიციპალიტეტის 7 სოფლის (ხევის, ბორითის, ვერტყვიჭალის, ღორეშის, კიცხის, ლეღვნისა და პატარა ხარაგაულის) ბიბლიოთეკა მოინახულა.

„ჩვენი მიზანია, რომ ადგილზე გავეცნოთ სასოფლო ბიბლიოთეკებში არსებულ მდგომარეობას. მონიტორინგის ძირითადი კრიტერიუმებია, ინფრასტრუქტურული მდგომარეობა და ის ელემენტარული პირობები, რაც უნდა იყოს ზოგადად ბიბლიოთეკებში. პირველ რიგში, რასაც ყურადღება ექცევა შერჩევისას, ესაა შენობის, ბიბლიოთეკის ფართის დაცულობა. კომპიუტერული ტექნიკის შეტანის შემთხვევაში, იგი ადვილად შეღწევადი არ უნდა იყოს.

გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით ხარაგაულში შევარჩიეთ 7 სასოფლო ბიბლიოთეკა, რომელიც უნდა ვნახოთ და ადგილზე გავეცნოთ იქ არსებულ სიტუაციას. დათვალიერების შემდეგ გადაწყდება, რომელ ბიბლიოთეკებში შევა კომპიუტერული ტექნიკა“. - დასძინა უჩა ჯიბღაშვილმა.

თამარ მაღრაძე

ინოვაციების ცენტრის მომხმარებელთათვის „კრეატიულ ინდუსტრიებზე“ ლექცია ჩატარდა

19 თებერვალს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ინოვაციების ცენტრმა სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ მოწვეულ ლექტორს და კომპიუტერული გრაფიკისა და ვიზუალური ეფექტების განვითარების ასოციაცია C G Georgia-ს თავმჯდომარეს, ნიკოლოზ გოგოჭურს უმასპინძლა. ბატონმა ნიკოლოზმა ინოვაციების ცენტრის მომხმარებლებისთვის ჩაატარა ლექცია თემაზე: ,,კრეატიული ინდუსტრიები". კრეატიული ინდუსტრია ნიშნავს - გამოიგონე, საკუთრებად გაიხადე და ამაში ანაზღაურება აიღე.

ტრენინგის მიზანია, მომავალმა თაობებმა კონკრეტული ცოდნა მიიღონ ამ სფეროს შესახებ. აღსანიშნავია, რომ დღეს მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოშიც „კრეატიული ინდუსტრიების“ სფერო საკმაოდ აქტუალურია.

„ხარაგაულის ინოვაციების ცენტრში, „კრეატიული ინდუსტრიების“ სფერო განვიხილეთ - აღნიშნავს ასოციაცია C G Georgia-ს თავმჯდომარე, ნიკოლოზ გოგოჭური - ვისაუბრეთ მათი მნიშვნელობის შესახებ. შევეხეთ თემებს, თუ როგორ შეიძლება მიაღწიოს დაინტერესებულმა პირმა წარმატებას, როცა იგი ამ სფეროში მუშაობს და რა სირთულეები შეიძლება შეხვდეს მას. XXI საუკუნეში ინტელექტუალური პროდუქტის შექმნას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. მოხარული ვიქნები, თუ აქ მოწვეულ საზოგადოებას დღეს ჩატარებული ტრენინგი მომავლის სწორად დაგეგმვაში დაეხმარება. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ზრუნავს, რათა თაობებმა შეძლონ უფრო ეფექტურად აირჩიონ მომავალი“ - აღნიშნა ნიკოლოზ გოგოჭურმა.

შეგახსენებთ, რომ ინოვაციების ცენტრი ხარაგაულში ცენტრალური ბიბლიოთეკის ბაზაზე შეიქმნა. ცენტრი რამდენიმე თვეა რაც ფუნქციონირებს და მისი მენეჯერი ლიკა სვანიძეა.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულში გამწვანების საგაზაფხულო სამუშაოები დაიწყო

ხარაგაულში, დაბის ტერიტორიაზე, გამწვანების საგაზაფხულო სამუშაოები დაიწყო. რამდენიმე დღეა, სკვერებსა და გაზონებზე ახალი ნარგავების გაშენება მიმდინარეობს. სამუშაოებს ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის„ თანამშრომლები ასრულებენ. ამ ეტაპზე გაზონური ხედისთვის დამახასიათებელი ჰორტენზიებისა და ტყის ყაყაჩოების ნერგები დაირგო, ხოლო მოგვიანებით გაშენდება ოლეანდრები და მიმოზები. „ხარაგაულკეთილმოწყობის“ დირექტორის, ნოდარ სხილაძის, ინფორმაციით ოლეანდრების რამდენიმე ფერის ჯიში აქვთ გამოყვანილი. ადრიან გაზაფხულზე დაბა ხარაგაულის ხედს თეთრი, ვარდისფერი და მუქი შინდისფერი ოლეანდრები დაამშვენებენ.

ხარაგაულის „ჩხერიმელას“ მორიგი გამარჯვება

26 თებერვალს ხარაგაულის სტადიონზე „ჩხერიმელამ“ მარნეულის „ალგეთს“ უმასპინძლა და ანგარიშით 3:0 დაამარცხა. პირველ ტაიმი 1:0 დასრულდა - გოლის ავტორი ოლეგი კურტანიძე, მეორე ტაიმში კი, ორივე გოლის ავტორი გიორგი ცაგარეიშვილი გახლდათ.

საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის მეორე წრის მორიგი შეხვედრა 2 მარტს ჭიათურაში გაიმართება.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2016 წლის 29 თებერვლის სხდომის საკითხთა ნუსხა

1. .ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2013-1014 წლებისა და 2015 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის 2016 წლის 18 თებერვალს დამტკიცებული N9/36 ანგარიშის განხილვის შესახებ

მომხს: ინგა მაღრაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 დეკემბრის N43 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესი

მომხს: ნანა კიკნაძე

4.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

ხარაგაულის №48 საოლქო საარჩევნო კომისიაში ცვლილებებია

ხარაგაულის N48 საოლქო საარჩევნო კომისიაში (კომისიის თავმჯდომარე-გია ცისკაძე) ცვლილებები განხორციელდა. კომისიის ორ წევრს, მაყვალა სულაქველიძესა და ლალი ტალახაძეს, უფლებამოსილების ვადა ამოწურათ. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა უფლებამოსილების 5 წლიანი ვადის გასვლის გამო, ვაკანტურ პოზიციაზე შესარჩევი კონკურსი გამოცხადდა. ცესკოს 4 თებერვლის სხდომაზე ხარაგაულის N48 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებად მაყვალა სულაქველიძე და ნელი ვეფხვაძე შეირჩა. რაც შეეხება მაყვალა სულაქველიძეს, ხარაგაულის N48 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა 17 თებერვალს გამართულ სხდომაზე იგი მდივნად აირჩიეს.

ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი გაცნობებთ

გრიპის აქტიური სეზონის გამო შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დაგეგმილია გრიპის დიაგნოზის მქონე ორსულებისათვის ანტივირუსული მედიკამენტ ტამიფლუს განაწილება, რომელიც გაიცემა მას შემდეგ რაც ორსულები წარმოადგენენ ფორმაN100 და პირადობის მოწმობის ასლს. საჭიროების შემთხვევაში მოგვმართეთ ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანრთელობის დაცვის ცენტრში(დირექტორი შმაგი ხიჯაკაძე)

მის: სოლომონ მეფის ქუჩა N19
ინპორმაციისათვის დაგვირეკეთ
T 577 140-192(ლელა კაციტაძე)

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12